SMU SINGAPORE MANAGEMENT UNIVERSITY | Singapore International Dispute Resolution Academy

სიდრას (SIDRA) კვლევა საერთაშორისო დავების გადაწყვეტის შესახებ: 2020 საბოლოო ანგარიში

მოკლე შინაარსი:

საერთაშორისო დავების გადაწყვეტის შესახებ კვლევა: 2020 საბოლოო ანგარიში წარმოადგენს სინგაპურის საერთაშორისო დავების გადაწყვეტის აკადემიის საინაუგურაციო კვლევას, რომლის მიზანია შეისწავლოს მსოფლიოს ირგვლივ საერთაშორისო დავების გადაწყვეტის მომხმარებლების პრეფერენციები, გამოცდილებები, პრაქტიკები და პერსპექტივები. ჩატარებულმა კვლევამ შეისწავლა საერთაშორისო დავების გადაწყვეტის სამი ძირითადი მექანიზმი: საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი, საერთაშორისო კომერციული მედიაცია, საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტა სასამართლოს გზით, ასევე, დავების გადაწყვეტის ჰიბრიდული მექანიზმები, როგორებიც არის მედიაცია-არბიტრაჟი და არბიტრაჟი-მედიაცია. ჩატარებულმა კვლევამ შეისწავლა საერთაშორისო დავების გადაწყვეტაში ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა, როგორებიც არის ანალიტიკური პროგნოზირების საშუალებები და მოლაპარაკების ხელშემწყობი სისტემები, ასევე, მომხმარებლების კმაყოფილების დონე ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

ანგარიშში შეჯამებულია დავების გადაწყვეტის მექანიზმების შესახებ მიღებული მონაცემები და გამოკვლეულია ძირითადი ტენდენციები და ცვლილებები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო დავების გადაწყვეტაზე. კვლევის ძირითადი შედეგები მოცემულია ქვემოთ:

როგორ ხდება არჩევანის გაკეთება არბიტრაჟის, მედიაციის, სასამართლოსა და ჰიბრიდული მექანიზმების გამოყენების შესახებ

- გამოკითხულთა შორის საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი რჩება დავების გადაწყვეტის ძირითად მექანიზმად.
- საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი უფრო დიდი პოპულარობით სარგებლობდა სამართლებრივ მომხმარებლებს შორის ბიზნეს მომხმარებლებთან შედარებით.
- აღსრულებადობა, ნეიტრალურობა/მიუკერძოებლობა და ხარჯები წარმოადგენდა სამ ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმს, რომლებიც გამოკითხულებმა მხედველობაში მიიღეს დავების გადაწყვეტის მექანიზმის არჩევისას.
- სამართლებრივი მომხმარებლებისათვის აღსრულებადობა წარმოადგენდა ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, მაშინ როდესაც ბიზნეს მომხმარებლებისათვის ნეიტრალურობა/მიუკერძოებლობა აღმოჩნდა ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოება დავების გადაწყვეტის მექანიზმის არჩევისას.
- მომხმარებლების კმაყოფილების დონის შედარებისას გამოიკვეთა, რომ არბიტრაჟის და სასამართლოს მომხმარებლებთან შედარებით, მედიაციის მომხმარებლების დიდი ნაწილი კმაყოფილი იყო დავების გადაწყვეტის ამ მექანიზმის სისწრაფითა და ხარჯებით.

ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავების გადაწყვეტა

- იმ მომხმარებლების თითქმის ნახევარმა, რომლებმაც პასუხი გასცეს ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევას, მიუთითა, რომ 2016-2018 წლებში, ისინი ჩართულები იყვნენ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის საინვესტიციო დავების გადაწყვეტაში.

- საერთაშორისო არბიტრაჟი წარმოადგენდა ამგვარი დავების გადაწყვეტის მთავარ მექანიზმს, რამდენადაც მომხმარებლების უმრავლესობამ ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავების გადასაწყვეტად აირჩია ინსტიტუციონალური ან ად ჰოკ (ad hoc) არბიტრაჟი.
- აღსრულებადობა, პოლიტიკური სენსიტიურობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენდა სამ მთავარ კრიტერიუმს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის დავების გადაწყვეტის მექანიზმის არჩევისას.
- მიუხედავად არბიტრაჟის დომინირებისა, მომხმარებლები მზად არიან მიმართონ დავების გადაწყვეტის სხვა მექანიზმებს, როგორებიც არის სასამართლო და მედიაცია.
- მომხმარებლების პასუხები მიუთითებს ამ სფეროში რეფორმის ჩატარების საჭიროებაზე.

საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი

- საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი რჩება საერთაშორისო დავების გადაწყვეტის ძირითად მექანიზმად და 2016-2018 წლებში, ის გამოყენებულ იქნა გამოკითხულთა 74%-ის მიერ.
- გამოკითხულთა 75%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ აღსრულებადობა, მიუკერძოებლობა/ნეიტრალურობა და საბოლოობა წარმოადგენდა აბსოლუტურად მნიშვნელოვან ან მნიშვნელოვან კრიტერიუმებს არბიტრაჟის არჩევისას.
- არბიტრაჟი კვლავ რჩება დავების გადაწყვეტის მთავარ მექანიზმად, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მომხმარებლების კმაყოფილების დონე, არბიტრაჟის სისწრაფესთან და ხარჯებთან დაკავშირებით არ აღმოჩნდა მაღალი.

საერთაშორისო კომერციული მედიაცია

- მომხმარებლების 80%-ზე მეტმა მიუთითა, რომ მიუკერძოებლობა/ნეიტრალურობა, სისწრაფე და კონფიდენციალურობა წარმოადგენდა აბსოლუტურად მნიშვნელოვან ან მნიშვნელოვან კრიტერიუმებს საერთაშორისო კომერციული მედიაციის არჩევისას.
- საერთაშორისო კომერციული მედიაციის მომხმარებლებისათვის, არჩევანის გაკეთებისას აღსრულებადობა არ ყოფილა მნიშვნელოვანი გარემოება. ეს შეიძლება მიუთითებდეს დღეისათვის საერთაშორისოდ აღიარებული სწრაფი აღსრულების მექანიზმის არარსებობაზე. სინგაპურის კონვენცია ითვალისწინებს სამედიაციო მორიგებების სწრაფი აღსრულების მექანიზმს. ამ ფაქტმა მომავალში, შესაძლებელია, მიიზიდოს სასამართლოსა და არბიტრაჟის ის მომხმარებლები, რომლებისთვისაც აღსრულებადობა წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოებას.
- მედიატორების არჩევისას, კარგი ეთიკა და დავების გადაწყვეტის გამოცდილება წარმოადგენდა კრიტერიუმებს, რომლებიც მომხმარებლებმა ყველაზე მეტად შეაფასეს, როგორც აბსოლუტურად მნიშვნელოვანი თვისებები. სინგაპურის კონვენცია ყურადღების ცენტრში აქცევს მედიაციის პროფესიულ სტანდარტებს და, ამ კუთხით, შესაბამისობაში არის მომხმარებლების პრიორიტეტებთან.
- ბიზნეს მომხმარებლები უფრო მეტად აფასებენ ტექნოლოგიებს, როგორც ძალიან სასარგებლო ან სასარგებლო საშუალებებს სამართლებრივ მომხმარებლებთან შედარებით.

სასამართლოს გზით საერთაშორისო კომერციული დავების გადაწყვეტა

- მომხმარებლების 80%-ზე მეტი მიიჩნევს აღსრულებადობას, წესების სიცხადეს, ნეიტრალურობას/მიუკერძოებლობას, როგორც აბსოლუტურად მნიშვნელოვან ან მნიშვნელოვან კრიტერიუმებს სასამართლოს, როგორც დავების გადაწყვეტის მექანიზმის, არჩევისას.

- მომხმარებლების 50%-ზე ნაკლებმა მიუთითა, რომ ისინი ძალიან კმაყოფილები ან მეტნაკლებად კმაყოფილები იყვნენ სასამართლოს გზით დავების გადაწყვეტის სისწრაფითა და ხარჯებით.
- საერთაშორისო კომერციული სასამართლოების არჩევისას, გამოკითხულთა 80%-ზე მეტმა მიუთითა, რომ ეფექტურობა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ან აბსოლუტურად მნიშვნელოვან გარემოებას, მაგრამ გამოკითხულთა მხოლოდ 45% აღმოჩნდა კმაყოფილი ან მეტნაკლებად კმაყოფილი მათი გამოცდილებით. საერთაშორისო კომერციულ სასამართლოებს შესაძლებლობა აქვთ გაზარდონ მათი ეფექტურობა, რათა ამ გზით დავების გადაწყვეტა გახდეს უფრო მიმზიდველი.

დავების გადაწყვეტის ჰიბრიდული მექანიზმები

- ჰიბრიდულ მექანიზმებს აქვთ შესაძლებლობა შეამცირონ არბიტრაჟთან და მედიაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.
- მომხმარებლებმა აღნიშნეს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენდა ჰიბრიდული მექანიზმის არჩევის მთავარ მიზეზს.
- ბიზნეს მომხმარებლები უფრო გახსნილები არიან ჰიბრიდული პროცესის არჩევისას სამართლებრივ მომხმარებლებთან შედარებით.
- როდესაც მხარეებს შორის საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნება, ეფექტურობა და ხარჯები წარმოადგენდა მთავარ კრიტერიუმებს, მომხმარებლებმა აირჩიეს ჰიბრიდული მექანიზმები, მხოლოდ არბიტრაჟის გზით დავების გადაწყვეტასთან შედარებით.
- როდესაც ეფექტურობა, ხარჯები და აღსრულებადობა წარმოადგენდა მთავარ კრიტერიუმებს, მომხარებლებმა აირჩიეს ჰიბრიდული მექანიზმები, მხოლოდ მედიაციის გზით დავების გადაწყვეტასთან შედარებით.

The Georgian version of the Executive Summary of the SIDRA Survey Report has been provided by **Vakhtang Giorgadze** (Research Associate at SIDRA).